



ავტორები: დავით კუშელავა, იაროსლავა ბაზიჩი

წლიური ზრდა, სავარაუდოდ, რეკორდულ ნიშნულს მიაღწევს, რაც მიგრაციით, ტურიზმით და ვაჭრობითაა გამოწვეული

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველი კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) **2022 წლის მესამე კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა, რომელიც ამ ეტაპზე 9.7 %-ს შეადგენს.** შედეგად, 2022 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 10.2 %-ია.



- **ISET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2022 წლის მეოთხე კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა, რომელიც ამ ეტაპზე 11.9 %-ს შეადგენს. 2023 წლის პირველი კვარტლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი კი 3.9 %-ია.**
- **სექტემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 10.8%-ს შეადგენს.** აღნიშნული მაჩვენებელი, დიდი ალბათობით, გადაჭარბებულადაა შეფასებული. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ეკონომეტრიკული მოდელი საქართველოს ეკონომიკური ცვლადების მხოლოდ წარსულ მნიშვნელობებს ეყრდნობა, სადაც არ მოიპოვება ასეთი ფართომასშტაბიანი ომის, სანქციებისა და მიგრაციის ანალოგი.
- **გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაახლა 2022 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი, რომელიც მანამდე არსებული პროგნოზის (9%-ის) ნაცვლად, 10%-ს შეადგენს** (აღნიშნული მაჩვენებლები ძალიან ახლოსაა ჩვენს პროგნოზთან). მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის (მე-4 გამოცემა) მიხედვით, ზემოხსენებული განახლებების მიზეზებს შორისაა რეგიონის ქვეყნებიდან საქართველოში გაზრდილი მიგრაციის მოსალოდნელზე ძლიერი გავლენა და მომსახურების ექსპორტიდან (ძირითადად ტურიზმიდან) მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. თუმცა მომავალში, როდესაც რეგიონში პოლიტიკური ვითარება დასტაბილურდება, უცხოური სახსრების შემოდინების მსგავსი ზრდა ნაკლებად სავარაუდოა. **2023 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 4%-ს შეადგენს** (მაჩვენებელი შეიცვალა მანამდე არსებული 4.5%-დან, მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მე-3 გამოცემის საფუძველზე).

მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმაპირობებელი ცვლადები:

საქონლით ვაჭრობა. სექტემბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად **40.0%-ით** გაიზარდა. ეს, ძირითადად, განპირობებული იყო ავტომობილების (122%-ით ზრდა, რაც 14.7 პროცენტულ პუნქტს უტოლდება), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (29%-ით, 4.2 პროცენტული პუნქტით ზრდა), ფეროშენადნობის (18%-ით, 2.4 პროცენტული პუნქტით ზრდა), სიგარების, მანილური სიგარების, სიგარილიოების და სიგარეტების (385%-ით, 2.1 პროცენტული პუნქტით ზრდა) და ელექტროენერჯის (212-ჯერ ზრდა, რაც 2.1 პროცენტულ პუნქტს უტოლდება) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით. ამის საპირისპიროდ, წლიური ვარდნა განიცადა ტყის თხილისა და სხვა სახის თხილის (47%-ით კლება, -3.1% პროცენტული პუნქტით), აგრეთვე სატელეფონო აპარატების, მათ შორის ფიჭური ან სხვა უკაბელო ტელეფონების *ექსპორტმა* (70%-ით, წლიური -0.8 პროცენტული პუნქტით). აღსანიშნავია, რომ საქონლის ექსპორტის დრამატული ზრდა, უმეტესწილად, უფრო მაღალი ფასების ანარეკლია, ვინაიდან ექსპორტის რეალური მოცულობა გაცილებით მცირედით, წლიური 21.1%-ით გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი 13.8%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად საწვავისა და ნავთობპროდუქტების (რაც დიდწილად უფრო მაღალი ფასებით იყო განპირობებული), *ბიტუმის და ხორბლის ფქვილის* გაზრდილმა იმპორტმა/რეიმპორტმა განაპირობა. ამის საპირისპიროდ, შემცირდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტის წლიური მაჩვენებელი. ამავდროულად, რეალური (ფასებით კორექტირებული) იმპორტის წლიური მაჩვენებელი 1.5% წლიური პროცენტული პუნქტით შემცირდა. **შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი წლიური 3.1%-ით შემცირდა და 561,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა** (ეს არის პირველი შემთხვევა 2022 წელს, როდესაც სავაჭრო დეფიციტის წლიური მაჩვენებელი შემცირდა. მაშინ, როდესაც დეფიციტი 2022 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საშუალოდ 39%-ით გაიზარდა). *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი გავლენა იქონია მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

ფულადი გზავნილები. სექტემბერში, **ფულადი გზავნილები წლიური 84.6%-ით გაიზარდა და 387.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** აღნიშნული ზრდის მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: რუსეთის ფედერაცია (რომელმაც, ფაქტობრივად, მთლიანი ზრდის ნახევარი უზრუნველყო, 64.5 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთი (7.0



პროცენტული პუნქტი), სომხეთი (3.7 პროცენტული პუნქტი), ბელარუსი (3.0 პროცენტული პუნქტი), გერმანია (2.4 პროცენტული პუნქტი), ყაზახეთი (2.0 პროცენტული პუნქტი), აშშ (2.0 პროცენტული პუნქტი), ტაჯიკეთი (1.4 პროცენტული პუნქტი), იტალია (1.1 პროცენტული პუნქტი), გაერთიანებული სამეფო (1.0 პროცენტული პუნქტი) და უზბეკეთი (1.0 პროცენტული პუნქტი). მეორე მხრივ, ფულადი გზავნილების შემოდინებამ იკლო უკრაინიდან (3.8 პროცენტული პუნქტი), აზერბაიჯანიდან (1.6 პროცენტული პუნქტი), საბერძნეთიდან (0.7 პროცენტული პუნქტი) და მოლდავეთიდან (0.3 პროცენტული პუნქტი). *საერთო ჯამში, ფულადი გზავნილების ნაკადის აღდგენამ დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

ტურიზმი. ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა და მათგან მიღებული შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა 2022 წლის სექტემბერში, 2020 წლის მკვეთრი შემცირებისა და 2021 წელს ნაწილობრივ აღდგენის შემდეგ.

სექტემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი წლიური გამოთვლებით 147%-ით გაიზარდა, ხოლო ტურისტების რაოდენობის (კერძოდ, იმ ვიზიტორებისა, რომლებმაც 24 საათი ან მეტი გაატარეს საქართველოში) ზრდამ 116.7%-ს ს მიაღწია. *საერთო ჯამში, ვიზიტორებისა და ტურისტების მზარდმა რაოდენობამ, ტურისტული შემოსავლების ზომიერი ზრდის პარალელურად, პოზიტიური წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის პროგნოზებში.*

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER). სექტემბერში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) ყოველთვიური მაჩვენებლით 2.1%-ით და წლიური გამოთვლებით 18.3%-ით გაიზარდა. უფრო მეტიც, ლარი/ევროს რეალური გაცვლითი კურსი 31.7%-ით, ლარი/აშშ დოლარის – 12.7%-ით, ლარი/თურქული ლირის რეალური გაცვლითი კურსი კი 42.6%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე თვის კურსთან შედარებით (გარდა ლარი/რუბლისა, რომელიც 11.7%-ით შემცირდა). თვიურ ჭრილში ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) გაუფასურდა სხვა დიდი პარტნიორი სახელმწიფოების ვალუტასთან მიმართებით: ევროსთან მიმართებით – 1.0%-ით, რუსულ რუბლთან – 2.9%-ით, თურქულ ლირასთან – 3.4%-ით, აშშ დოლართან მიმართებით – 2.0%-ით. საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.

მსოფლიო ფასები. მშპ-ის ზრდის პროგნოზირებისას ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა ცვლადების ისეთი კატეგორიებიც, როგორებიცაა: მეტალის ფასის ინდექსი (PMETA) და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ინდექსი (PRAWM). მეტალს საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, მაშინ როცა საკვები და საწვავი მთავარ იმპორტულ პროდუქტებს წარმოადგენს. ამგვარად, მეტალის ფასის გლობალური ზრდა, სავარაუდოდ, დადებით შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდა კი პირიქით, დამაზიანებელი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის. წლიური გამოთვლებით, მეტალის ფასებმა სექტემბერში 16.3%-ით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასმა 10.8%-ით დაიკლო. *ამგვარად, მოდელისთვის PMETA და PRAWM ინდიკატორების დამატება ამცირებს მშპ-ის ზრდის პროგნოზს ორივე კვარტლისთვის.*

ინფლაცია. სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 11.5%-ს გაუტოლდა, რაც მიზნობრივ 3%-ს მნიშვნელოვნად აღემატება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის დაახლოებით 5.1 პროცენტული პუნქტი საკვების უფრო მაღალმა ფასებმა განაპირობა (რაც მსოფლიოს მასშტაბით საკვების ფასების ზრდით იყო გამოწვეული – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი წლიურად 5.1%-ით გაიზარდა¹). გარდა ამისა, გაზრდილმა საწვავის ფასმაც საგრძნობლად მნიშვნელოვანი წვლილი (1.1 პროცენტული პუნქტი) შეიტანა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში. აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზრდილი საწვავის ფასების



ანარეკლია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 20.5%-ით გაიზარდა). შესაბამისად, შემდეგი ორი ფაქტორი გვამდევს ოპტიმიზიმის საფუძველს ინფლაციასთან დაკავშირებით: 1) საწვავის ფასებმა კლება დაიწყო მას შემდეგ, რაც წლის დასაწყისში პიკს მიაღწია; 2) ლარის გაცვლითი კურსი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით გამყარდა. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 7.5%-ს გაუტოლდა. *საერთო ჯამში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის პროგნოზში.*

სამომხმარებლო სესხები. ცვლადების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზებზე, სამომხმარებლო სესხებს უკავშირდება. **2022 წლის სექტემბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა წლიური 30.3% და თვიური 1.0%-ით გაიზარდა (მაღალი ინფლაციის გამო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად).** კომერციული ბანკების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა, შესაბამისად, წლიური 11.2% და 30.9%-ით გაიზარდა. მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გაცემული მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები შემცირდა საგრძნობლად (34.4%-ით). **გარდა ამისა, მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხები 1.9%-ით შემცირდა თვის ჭრილში, ხოლო გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხი კი, წინა თვესთან შედარებით, 1.1%-ით გაიზარდა.** *პროგნოზიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირედი ნეგატიური გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.